# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 89. | კვირა, 19 მარტი, 1906 წ. | გაზეთის № 3030

### მოუწვეველ სტუმარს

(მაკედონელ კარაგეოზის სიმღერებიდან)

„ტყვილად ნუ სჩხრეკავთ ამ ჩემს ქაღალდებს,
ნუ მიჰყრით-მოჰყრით და ნუ ამირევთ,
ხომ იცით, მეც კი არ ვხუჭავ თვალებს
და, უკაცრავად, ვერას იგემებთ!

—

თქვენი საკბილო რვეულ-წიგნები
აქ აღარ არის, ვფიცავ სინდისსა,
რაც მეტი იყო, ვუჩვენე გზები,
შემყურემ თქვენი მოლოდინისა!

—

მეწვია ღამე უმსგავსთა დასი,
მე კი ვუყურებ და მეცინება,
რადგან მაგიდა დამრჩა ხალასი,
და ცარიელი ის გაბრუნდება!

—

რა დაგრჩენიათ, თავს თუ გამიჩხრეკთ,
ასე თუ ისე, ფრთხილად, ხრიკებით,
იქ კი ბევრს შხამსა თქვენ აღმოაჩენთ,
და, რაც მწადიან, კიდეც მიხვდებით!

—

ჰო, მართალია დედის ძუძუსთან
მე შემეწოვა ზიზღი და მტრობა,
ბრძოლა ხალხისთვის, ბრძოლა მტარვალთან,
ანუ სიკვდილი, ან გამარჯვება!

—

რო დამიჭიროთ, ხელში მე რამე
თქვენი სულელი ანგარიშია,
ბევრჯელ ვიგემე თქვენი სიამე
და გამოვიწრთე მე ამ ქირშია!“

—

ასე ფიქრობდა, რომ დახვედროდა
ბოლგარიელი ოსმალოს ჟანდარმს,
მაგრამ მოძმენი მას მოაგონდა
და ჩაუფიქრდა მათ მწარე ამბავს!

—

გონიერ მებრძოლს იხსნის სიჩუმე
და როცა გმირი განგებ მშვიდდება,
მის გულში ცეცხლი ენთება თურმე
და უფრო მძლავრად აპრიალდება!

ი. ევდოშვილი.

### ტაინი სოვეტნიკის სიზმარი

(შემდეგი*)

V

(რამდენისამე წუთის შემდეგ სცენა ძალზედ განათდება. დგანან მოხელენი სხვა და სხვა ხარისხისა, ვიცმუნდირებით და ხმა მაღლა ახველებენ)

**მოხელენი.** კხე, კხე, კხე (ახველებენ).

**კრუტ.** (თვალებს აჭყეტს) ვინ არის?

**მოხელენი.** თქვენო აღმატებულებავ, თქვენო აღმატებულებავ!

**კრუტ** რა? ვერ მოვითმენ!

**1 მოხელე.** რას იზამთ, უნდა მოითმინოთ, თქვენო აღმატებულებავ.

**2 მოხელე.** ისეთი დროა, რომ ყველაფერი უნდა მოითმინოთ; თქვენო აღმატებულებავ!

**კრუტ.** (ადგება) ოო, თქვენა ხართ, ბატონებო?

**3 მოხელე.** თქვენო აღმატებულებავ... ჩვენს დუხჭირს დროში...

**კრუტ.** რაო? დუხჭირს დროშიო?

**1 მოხელე.** დიაღ, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენს დუხჭირს დროში...

**2 მოხელე.** ჩვენს დუხჭირს დროში, როდესაც მთელი ქვეყანა შეპყრობილია...

**კრუტ.** როგორ თუ შეპყრობილია? ვინ შეიპყრო? ვინ ბედავს მითხრას შეპყრობილიაო? (იმათკენ იწევს, ისინი უკან იწევენ).

**3 მოხელე.** (მიდის კრუტოუზდოუვისაკენ). შეპყრობილია ერთის საზოგადო მისწრაფებით, მოიხსნას ბორკილები...

**კრუტ.** ბორკილები?

**4 მოხელე.** მოიხსნას ბორკილები, რომლებიც საუკუნოების განმავლობაში უბოჭავდნენ ხელ-ფეხს...

**მოხელენი.** (ერთად) ხელს და ფეხს... ბორკილები... ბორკილები... (მიიწევენ მისკენ).

**კრუტ.** (უკან იხევს) მოითმინეთ, მოითმინეთ, ბატონებო. რა გსურთ? კონსტიტუცია.

**მოხელენი.** (ერთად) ღმერთმა დაგვიფაროს!

**კრუტ.** რესპუბლიკა?

**მოხელენი.** ღმერთმა გვაშოროს!

**კრუტ.** რევოლუცია?

**მოხელენი.** ფუ, ეშმაკო! რასა ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ!

**კრუტ.** მაშ რა გსურთ, მითხარით?

**მოხელენი.** ავტონომია, ჩვენ ვთხოულობთ ავტონომიას.

**კრუტ.** რა არის ეგ ავტონომია?

**მოხელენი.** პირველი—ყველას ჰქონდეს უფლება თავის გემოვნებაზედ, ფრჩხილზედ გასინჯვით აირჩიოს კალამი.

**კრუტ.** ჰმ, შესაძლოა... ეგ შეიძლება...

**მოხელენი.** მეორე—სწეროს იმ მელნით, რომელიც მოსწონს, შავით, ლურჯით, წითლით,

**კრუტ.** შავით და ლურჯით შეიძლება, წითლით კი... არა.

**3 მოხელე.** ცენზორები მუდამ წითლით სწერენ.

**კრუტ.** მათ თავიანთი თანამდებობა აძლევს ამ უფლებას. მათი თანამდებობა წითელია.

**მოხელენი.** ჩვენ გვინდა წითლით, წითლით, წითლით.

**კრუტ.** ბატონებო, მოითმინეთ... მე თითონ არსებითად... მე მხოლოდ მეჩვენებოდით... მაგრამ ნამდვილად კი... სწერეთ წითელი მელნით, მხოლოდ თქვენი მელანი უნდა მოიტანოთ, ხაზინას არ შეუძლია წითელი მელანი მოგცეთ. ხაზინას არაფერი წითლის მიცემა არ შეუძლიან.

**1 მოხელე.** მესამე—ნადვორნი სოვეტნიკის ჩინიდან დაწყებულთ უწოდებდნენ „თქვენს აღმატებულებას.“

**კრუტ.** ნადვორნი სოვეტნიკიდან? ეს შეუძლებელია. ეს იმპერიის ძირითად კანონების დარღვევაა. ეს უაზრო ოცნებაა.

*) იხ. „დამატება“ № 388



გამომცე,—სურ. გროტგერისა

მოხელენი. ეს მართალია, მართალი. შეუძლებელია. მიგვაქვს უკან.

3 მოხელე. მეოთხე—რიცხვი ოცი თვეში ორჯელ მოდიოდეს, ე. ი. ოცდაოთხჯერ წელიწადში.

კრუტ. ეგ ბრწყინვალე აზრი იქნებოდა, ბატონებო, რომ რიცხვი ოცი იმპერიის ძირითადი კანონი არ იყოს.

4 მოხელე. თქვენო აღმატებულებავ, მართალია, ძირითად კანონის დარღვევა არ შეიძლება, მაგრამ არსად არ არის ნათქვამი, რომ მისი გაორკეცებაც არ შეიძლებოდეს.

მოხელენი. ვაშა, ვაშა, ბრწყინვალე აზრია.

კრუტ. დიახ, მეც მომწონს ეგ აზრი. გაორკეცება... მშვენიერი აზრია... ამიერიდან რიცხვი ოცი თვეში ორჯელ... ორჯელ.

მოხელენი. ვაშა, გაუმარჯოს ავტონომიას!

კრუტ. მაშ, ბატონებო, თქვენ კმაყოფილნი ხართ?

მოხელენი. გმადლობთ, გაუმარჯოს ავტონომიას! გაუმარჯოს მათს აღმატებულებას!

კრუტ. დიდათ მოხარული ვარ, ბატონებო, დიდათ მოხარული. მე მუდამ... მე მხოლოდ გეჩვენებოდით... ნამდვილად კი... (ყველას ხელსართმევს) ნამდვილად კი...

1 მოხელე. ჩვენც მხოლოდ გეჩვენებოდით... ნამდვილად კი...

მოხელენი (უკან იხევენ ერთად). ჩვენ მხოლოდ გეჩვენებოდით... ნამდვილად კი... მხოლოდ გეჩვენებოდით... ნამდვილად კი... ნამდვილად კი... ნამდვილად კი... (დაბნელდება. სიბნელე გრძელდება რამდენსამე წამს).

VI

(კრუტოუზდოვი შუა სცენაზედ სდგას. ლაქია კარებთან სდგას, ხელები უკან უწყვია და დამოუკიდებელი შეხედულება აქვს).

კრუტ. აკიმ, დაუძახე აქ ჩემს ცოლს!

ლაქ. არ შეიძლება!

კრუტ. რატომ?

ლაქ. ისინი გაიფიცნენ.

კრუტ. დაუძახე ქალს, სიძეს.

ლაქ. გაფიცულები არიან.

კრუტ. შვილსა!

ლაქ. ის ეხლა ლიცეიში აღარ გახლავთ. სტუდენტია.

კრუტ. აკიმ, მემსახურე.

ლაქ. შეუძლებელია.

კრუტ. რატომ?

ლაქ. გაფიცული გახლავარ.

კრუტ. აი, აი, შენ ხომ სწორე შეხედულება გქონდა.

ლაქ. ეხლა მრუდე მაქვს. ასე სჯობიან ხან და ხან.

კრუტ. შენ რაღა გინდა?

ლაქ. მე მინდა თავისუფლება.

კრუტ. რა არის თავისუფლება?

ლაქ. მინდა ვიმსახურებ, მინდა ვისეირნებ...

კრუტ. სულელო, რათ გინდა თავისუფლება, თუ კვლავ ლაქიად დარჩები ჩემთან?

ლაქ. თავისუფლების დროს ლაქიობაც სასიამოვნოა.

კრუტ. კარგი. გაძლევ თავისუფლებას, აჰა, წაიღე რამდენიც გინდა.

ლაქ. (სწრაფად მიდის მასთან). დიდ მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ! (ხელზედ ჰკოცნის)

კრუტ. შეისმინე, მე მხოლოდ ისე გეჩვენებოდით, ნამდვილად კი... ძირს ვარსკვლავი!... ძირს ორდენები!.. გამხადე ბიუროკრატის მუნდირი და ჩამაცვი სერთუკი მოქალაქისა.

ლაქ. (ხდის ვიცმუნდირს). მესმის თქვენო აღმატებულებავ.

კრუტ. მოქალაქე.

ლაქ. მესმის, მოქალაქე, თქვენო აღმატებულებავ მობძანდით ჩაიცვით (აწვდის შავ სერთუკს. კრუტოუზდოვი იცვამს).

კრუტ. ვგევარ თუ არა მოქალაქეს?

ლაქ. ძალიან გევხართ, თქვენო აღემატულებავ. მხოლოდ თვალები ისევ გენერალს მაგონებენ.

კრუტ. ეგ არაფერი... გაგონებდნენ... ყოველივე შემთხვევისათვის...

ლაქ. იქნება ისევ დაგჭირდეთ, თქვენო აღემატულებავ.

კრუტ. და იქნება ძალიანაც... ქუდი.

ლაქ. (აძლევს ფორმის ქუდს)

კრუტ. სულელო!.. ცილინდრი.

ლაქია. (აძლევს ცილინდრს კრუტოუზდოვი დაიხურავს).

კრუტ. ეხლა ვგევარ?

ლაქია. სრულიად. (შემოდის შვილი).

VII

გაყი. ჩქარა, ჩქარა დრო არ ითმენს, ძირს უპირატესობანი. (იხდის ლიცეის ფორმის მუნდირს. ლაქია აწვდის სტუდენტის სერთუკს). ვირო, თეთრსარჩულიანია! განა ესეთი შეიძლება?

ლაქია. მოსვრა ადვილი გახლავთ. თეთრის მოსვრა ადვილია, მოსვრილის გათეთრება კი ძნელი. ერთი, ორი, სამი. (ხელს უსვამს სარჩულს რომელიც ისვრება). მზად გახლავთ.

გაყი. (იცვამს სერთუკს). ქუდი!

ლაქია. (აწვდის სამკუთხიან ქუდს).

გაყი. რა არის ეს? ძირს პრივილეგიები!

ლაქია. ოჰ, უკაცრავად. (აძლევს სტუდენტის ქუდს).

გაყი. დამიწეწე კულულები!

ლაქია. (უწეწავს თმას) მზად გახლავთ.

გაყი. ვგევარ?

ლაქია. როგორც ორი ცვარი წყლისა.

გაყი. ძირს პრივილეგიები!

კრუტ. მეც მაგ აზრისა ვარ.

გაყი. თქვენცა ჰა, ჰა, ჰა, ჰა... არა მჯერა.

კრუტ. შემომხედე და დაიჯერებ,

გაყი. უყურებს მამას, შემდეგ გაუწვდის ხელს). მამა!...

კრუტ. შვილო! (ეხვევიან ერთმანეთს).

გაყი. მე მივდივარ იქ, იქ... (უჩვენებს შორს და მიდის)

ცოლი. (შემოდის ელაზათოდ აცვია, ქვედატანი ჰაყებით აქვს აწეული). მე მივდივარ იქ... იქ... (უჩვენებს ხელით და მიდის. გამოდიან ქალი და სიძე.

ქალი და სიძე. ჩვენ მივდივართ იქ... იქ... (გადიან).

კრუტ. მეც მივდივარ იქ... იქ... (გადის).

ლაქია. ყველანი წავიდნენ იქ, იქ, მხოლოდ მე დავრჩი აქ, აქ. (სიბნელე).

VIII

(რამდენისამე წამის სიბნელის შემდეგ, სცენა ძლიერ განათდება. შუაში სდგას გრძელი სტოლი, რომელზედაც გადაფარებულია წითელი მაუდი. სტოლზედ პორტფელების გროვაა. სტოლს ირგვლივ უსხედან მოქალაქენი სამფეროვანი შარფებით მხარზედ).

1 მოქალ. ყველანი აქა ვართ, გვაკლია მხოლოდ მოქალაქე კრუტოუზდოვი. (შემოდის კრუტოუზდოვი. ტაშს უკრავენ).

2 მოქალ. მოქალაქე, კრუტოუზდოვ! მოგესალმებით თქვენ, როგორც ყოვლად ძლიერს და ღრმად მორწმუნე თავისუფლების მომხრეს.

კრუტ. მადლობას გიძღვნით. მართალნი ბრძანდებით. მე ყოვლად ძლიერი ღრმად დარწმუნებული... და მე, მე მხოლოდ გეჩვენებოდით... ნამდვილად-კი...

მოქ.ლ. ჩვენც მხოლოდ გეჩვენებოდით... ნამდვილად-კი.

კრუტ. ჩვენ გამოვიცვალენით.

1 მოქალ. მართალია, მართალი, გამოვიცვალეთ.

2 მოქალ. გამოვიცვალენით.

1 მოქალ. გამოვიცვალეთ.

კრუტ. მოქალაქენო, ნუ თამაშობთ სიტყვებით. მე ამ კითხვას კენჭს ვუყრი გამოვიცვალენით, თუ გამოვიცვალეთ? ვინც გამოიცვალნენ ადგნენ, ვინც გამოიცვალა ის იჯდება. (ყველანი სხედან). მაშ ყველას გამოუცვლია. მაგრამ ეს სულ ერთია. მოქალაქენო, აი აქ, ამ ადგილას, ვარსკვლავი იყო, აქ ბრწყინავდა ვლადიმერი. (გულამომჯდარი). დიახ, იყო ვარსკვლავი... იყო ვლადიმერი... იყო რიცხვი ოცი...

მოქალ ქენი. (გულამომჯდრები). ჩემთვისაც იყო ოცი, ჩემთვისაც... ჩემთვისაც. .

კრუტ. მე ვიყავ ტაინი სოვეტნიკი...

მოქალაქენი. მეც ვიყავი... მე სტატსკი... მე კამერჰერი.

კრუტ. (აშაუად). მაგრამ სამშობლომ მოითხოვა მსხვერპლი და მე... ხედავთ? თქვენ ხომ ხედავთ?

მოქალაქენი. ვხედავთ, ვხედავთ, ძალიან კარგად ვხედავთ. მაშ შეუდგეთ პორტფელების განაწილებას. მოქალაქე კრუტოუზდოვ, დაარიგეთ!

კრუტ. ნდობისთვის გმადლობთ მოქალაქენო! (ფრთხილად შემოდის და კარებთან ჩერდება პოლიციელის ტანისამოსში გადაცმული აკიმი). ვინა ხარ შენ?

აკიმი. მოხელე.

კრუტ. რისთვის მოსულხარ?

აკიმი. გამოცხადებითის წესის ძალით. განაგრძეთ.

კრუტ. რაო?

აკიმი. (სასტიკად). განაგრძეთ.

კრუტ. ნდობისათვის გმადლობთ, მოქალაქენო. მაგრამ სანამ შევუდგებოდეთ პორტფელების განაწილებას, მოგიწვევთ თქვენ, მოქალაქენო, განიმსჭვალოთ იმ აზრით, რომ თვითეულს პორტფელში რუსეთის ერთი მეათედი მაინც იმყოფება.

3 მოქ. ერთი მეათედი. ოჰ, ჰო, ჰოოო!

კრუტ. მაშასადამე, თვითეულს თქვენგანს ენდობა ერთი მეათედი ნაწილი სამშობლოს კუთვნილებისა. განიმსჭვალეთ?

მოქ-ენი. დიახ, დიახ, სრულიად. გაანაწილეთ, დრო არ ითმენს. სამშობლო ლოდინშია.

კრუტ. ეს ძლიერ ადვილია. (თვალებს ხუჭავს და არიგებს პორტფელებს) ეს თქვენ მოქალაქევ. ეს თქვენ (მოქალაქენი იტაცებენ პორტფელებს, მაგრად ბღუჯავენ ხელში, მედიდურად დადიან).

1 მოქ ლ. აჰა, ახლა კი ვნახოთ!

2. მოქ. ეხლა მოვილაპარაკებთ!

3 მოქ. ეხლა ვაჩვენებთ სეირს!

4 მოქ. ეხლა გამოჩნდება!

5 მოქ. მოქალაქე კრუტოუზდოვს კი არაფერი დარჩა.

კრუტ. მე არ მინდა.

მოქ-ენი. როგორ თუ არ გინდათ? (ისმის შორიდან ხალხის ძახილი და ხმაურობა.)

კრუტ. არ მინდა ჰა, ჰა, ჰა, ჰა.

მოქ-ენი. რას იცინით? რაზედ იცინით?

კრუტ (იცინის). ჰა, ჰა, ჰა. ვიცინი თქვენზედ. გესმით? გესმით აი ის მოდის, თვითონ ის (იცინის) დაიტაცეს.. დაითვრნენ... მაგრამ აი ის, თვითონ ის მოვა და წაგართმევთ არა მარტო პორტფელებს, არამედ... (ხმაურობა ძლიერდება). გესმით? გესმით?

მოქ-ენი (დაჭერიან პორტფელებს). არა, არა არ გვინდა, უარს ვამბობთ. (გარბიან).

კრუტ. ჰა, ჰა, ჰა... (იცინის. აკიმს). გინდა, აილე, აკრიფე, ყველა.

აკიმი. მინდა. დროებით ჩვენც გაუძლვებით. (კრეფავს პორტფელებს. იცინის) ჰა, ჰა, ჰა. (ბნელდება. ხმაურობა ახლოვდება).

IX

სინათლე. უკანა ფარდა აწეულია, სჩანს ქუჩა. შორიდან მოსჩანს ხალხის ბრბო. წინ კრუტოუზდოვის ცოლი, ქალი, სიძე და ვაჟი სტუდენტის მუნდირში, ბოლოს კრუტოუზდოვი მუშის ხალათით.

ბრბო. ვაშა. ვაშა, გაუმარჯოს თავისუფლებას!

კრუტ. (მიუბრუნდება ბრბოს. ბრბო შეჩერდება). ამხანაგებო! მე მესმის ძახილი: თავისუფლება, მაგრამ სუსტია ეს ძახილი. ამხანაგებო, იყვირეთ ისე, რომ მარენის, იუპიტერის და სირიუსის მცხოვრებთ ესმოდეთ თქვენის გამარჯვების ძახილი. იყვირეთ, ისე რომ შეინძრეს სამყარო, რომ თქვენი ძახილი მოიფინოს ქვეყნიურს სივრცეში და რომ არც ერთ ერის ენაში არ დარჩეს სხვა სიტყვა, გარდა ერთისა: თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება.

ბრბო. თავისუფლება, თავისუფლება, თავისუფლება.

კრუტ. და ბრბო (მიდიან ავანსცენის იმ ადგილისაკენ, სადაც სდგას საქანაო სკამი. მღერიან). Allons en fants de laaaa..



კაენის ძენო! —სურ. გროტგერისა.

(სიბნელეა, ბრბოს ხმა სწყდება, კრუტოუზდოვი აგრძელებს, შემოდის ლაქია).

X

ლაქია. ოხ ღმერთო, ეს რა მოსვლია მათ აღმატებულებას. (ანთებს სანთელს. უკანა ფარდა დაშვებულია. კრუტოუზდოვი ზის დივანზე ვიცმუნდირით, ვარსკვლავით და ორდენებით. ხვრინავს. სიზმარში ყვირის. მიირბენს იმასთან ლაქია და ფრთხილად არყევს). თქვენო აღმატებულებავ, გაიღვიძეთ თქვენო აღმატებულებავ!

კრუტ. (სიზმარში თითქოს იხრჩობაო). თავისუფლება, თავისუფლება!

ლაქია. თქვენო აღმატებულებავ! (შემოდიან ცოლი, ქალი სიძე და გაჟი).

XI

ცოლი, ქალი, სიძე და გაჟი. რა დამართნია, რა მოსვლია?

ლაქია. სიზმარშია.

ცოლი. (კრუტოუზდოვს ხელით შეეხება). გაიღვიძე mon ange, გაიღვიძე!




კრუტ. (იღვიძებს) ეს რა არის? როგორ? ეს შენ? (ქალს) შენც? (სიძეს). შენც? (გაჟს). შენცა? (თვალებს მოიფშვნეტავს) არა, თქვენ მართლა თქვენა ხართ?

ცოლი. რასაკვირველია, კმარა, გონს მოდი.

კრუტ. (ადგება). მოიცა, მოიცა. მე? ნამდვილად მე ვარ? (ხელს მოისვამს). ვიცმუნდირი მაცვია? ვარსკვლავი? ვლადიმერი? აბა, მითხარით, მითხარით რაღა!

ყველანი. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. მაშ სხვაფრივ როგორ იქნება.

კრუტ. აი ის... წითელი... ხომ წითელი არა მაქვს რა გაკეთებული.

ცოლი. სრულებით არაფერი. ვერ გამიგია საიდან გამოიგონე.

კრუტ. არა მჯერა, არა, არა მჯერა, სარკე. ჩქარა მომიტანეთ სარკე. (ლაქია მოსწევს სარკეს; უმზერის. სიამოვნებით ამოისუნთქავს) ჰოო, მაშ მე მართლა მე ვყოფილვარ... მაშ სიზმარი ყოფილა... მაგრამ რა გამოვცადე... რა დამცირება.

ცოლი. ჩემო მეგობარო, წავიდეთ ვისადილოთ. წვენი მოტანილია.

კრუტ. მოიცა, დღეს რა რიცხვია.

სიძე. ცხრამეტი.

კრუტ. ხვალა?

სიძე. რა თქმა უნდა, ოცი იქმნება.

კრუტ. მართლა, ნამდვილად?

სიძე. ნამდვილად.

კრუტ. მაშ შეგვიძლიან ვისადილოთ. წადით, მე ეხლავე მოვალ. (ცოლი, ქალი, სიძე და გაჟი გადიან). აკიმ, აქ მოდი. (ლაქია მიუახლოვდება). მე სიზმარში ვყვიროდი რასმეს?

ლაქ. დიახ, ინებეთ ყვირილი, თქვენო აღმატებულებავ!

კრუტ. რასა?

ლაქია. თავისუფლებას ყვიროდით.

კრუტ. სსსს, არც ერთმა ადამიანმა, გესმის, არც ერთმა ადამიანმა არ უნდა იცოდეს ეს ამბავი...

ლაქია. მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

კოტე ხახანაშვილი.



რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.
ვანქის დიდი ქუჩ.—ტელეფონი № 372